ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 27
27/04/2016

27-08-4-201604271806

განკარგულება

დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-ესთეტიკური მდგომარეობის შესწავლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ.ა” ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N49 დადგენილებით დამტკიცებული ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ეთხოვოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს დაავალოს მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურს შეისწავლოს დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-ესთეტიკური მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურმა 1 თვის ვადაში უზრუნველყოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქ.N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა